

# Capatect-Dehnfugenprofile „Plus“ 6660, 6670

სპეციალური პროფილი, თეთრი ელასტიური ჩანართით და არმირების ბადის ზოლით.

## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

ვერტიკალური სადეფორმაციო ნაკერების მოსაწყობად Capatect-WDVS A და B თერმოსაიზოლაციო სისტემებისთვის.  
ტიპი E: ზედაპირზე მდებარე ნაკერებისთვის  
ტიპი V: შიდა კუთხეებში მდებარე ნაკერებისთვის

თვისებები

- სადეფორმაციო ნაკერების ზუსტი დამუშავება
- ატმოსფერული მოვლენების მიმართ მედეგი
- ულტრაიისფერი სხივების მიმართ მედეგი
- შეღებვადი
- რაციონალური დამუშავების პროცესი
- გამოდგება სხვადასხვა სისქის თბოსაიზოლაციო მასალებზე
- შელესვის კანტიტ, ზედაპირის დასამუშავებლად
- შოვების სხვადასხვა ზომაზე მოსარგებლად - 5-25 მმ
- ორმხრივი, 10 სმ-იანი არმირების ბადის ზოლით

შეფუთვა

ყუთში 25 პროფილი, თითო 2,5 მ = 62,5 მ

შენახვის პირობები

შეინახეთ მშრალ ადგილას, დაიცავით ნესტისგან

პროდუქტის კოდი

ტიპი E = 6660/00  
ტიპი V = 6670/00

## გამოყენება

ზედაპირის მომზადება


სადეფორმაციო ნაკერი თბოსაიზოლაციო ფილებში უნდა იყოს ზუსტი და თანაბარი სიგანის (5-25 მმ).

დატანის მეთოდი

შესაბამისი პროფილი (ტიპი E ან ტიპი V) მაგრდება არმირების ბადის მოწყობამდე. არმირების მასა დაიტანეთ ფილაზე ნაკერის ორივე მხარეს, დაახლ 15 სმ-ს სიგანით. პროფილის ბადის ზოლები მოაყოლეთ სველ არმირების მასაში.

### რეკომენდაცია:

ნაკერის თანაბარი სიგანის უზრუნველსაყოფად, შეგიძლიათ ჩააყოლოთ ზომაზე მოჭრილი პოლისტიროლის ზოლი. იგი ასევე დაიცავს ნაკერის პროფილს არმირების და ბათქაშით შელესვის პროცესში დაბინძურებისგან. ზოლი ამოიღეთ სამუშაოების დამთავრების შემდგომ.



ხარჯი 1,0 მ/მ

გამოყენების პირობები

დამუშავების და შრობის დროს გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5°C-ზე ნაკლები.

## მითითებები

უტილიზაცია

მასალის ნარჩენები უტილიზირებული უნდა იქნას EAK 101103 (მინაბოჭკოვანი მასალის ნარჩენი) ან EAK 170904 (შერეული სამშენებლო ნარჩენი) შესაბამისად.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

### შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,  
0198 თბილისი საქართველო  
office@caparol.ge  
www.caparol.ge